



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა შედეგადაც

მთავარ ბუღალტერთა სერტიფიკაციის პროგრამა

პრეტენდენტის სახელი და გვარი

კოდი

გამოცდის თარიღი

01.01.2015

წინამდებარე ფურცელი ივსება კომისიის წევრების მიერ

პრეტენდენტის კოდი

ს ა ბ ნ ო ბ რ ი ვ ი

შ ე შ ა ს ე ბ ა

1. ფინანსური აღრიცხვა

(ხელმოწერა)

2. მმართველობითი აღრიცხვა

(ხელმოწერა)

3. სამენარგეო საქმიანობის
სამართლებრივი რეგულირება

(ხელმოწერა)

4. საბაღასასადო დაბეგვრა

(ხელმოწერა)

5. აუდიტის საფუძვლები

(ხელმოწერა)

6. ეთიკის კოდექსი

(ხელმოწერა)

7. გამოსდის მთლიანი შედეგი

(კომისიის თავმჯდომარის
ხელმოწერა)

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა ღ რ ი ც ხ ვ ა

- 1. უშუალო სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენისას ბრძელვადიანი აქტივების შექმნა და რეალიზაცია კლასიფიცირდება როგორც:**
 - საფინანსო საქმიანობა;
 - საინვესტიციო საქმიანობა;
 - საოპერაციო საქმიანობა.
- 2. თუ აქტივი შექმნილია ისეთი მდგომარეობაში, რომ მისი მიზნობრივი გამოყენება რემონტის გარეშე შეუძლებელია, მაშინ რემონტზე გაწეული დანახარჯები:**
 - განიხილება პერიოდის ხარჯად
 - ხდება რემონტის ხარჯის კაპიტალიზაცია
 - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- 3. ღრობითი სხვაობათა ჯგუფს მიეკუთვნება:**
 - გართობაზე გაწეული ხარჯები;
 - ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები;
 - საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაწეული ხარჯები.
- 4. ბალანსის შედგენის თარიღისათვის საბოლოო სავალუტო კურსით გადაანგარიშებას არ ექვემდებარება უცხოურ ვალუტაში ასახული:**
 - მიღებული ავანსები;
 - დებიტორული დავალიანება;
 - კრედიტორული დავალიანება.
- 5. მოიჯარე 5 წლით იღებს საიჯარო აქტივს. ხელშეკრულების თანახმად საიჯარო გადასახდელების გადახდა ყოველი წლის ბოლოს 26 000 ლარის ოდენობით აისახება. საჭიროა დავითვალთ 26 000 ლარის დისკონტირებული ღირებულება. ამისათვის გამოიყენება ცხრილი:**
 - ანუიტეტის მომავალი ღირებულებების;
 - ანუიტეტის მიმდინარე ღირებულებების;
 - ერთჯერადი გადასახდელების მიმდინარე ღირებულებების;

6. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ბალანსების დროს და ამ დრომდე შემენილი არ იყო ამ აქტივის ბალანსების რეზერვი. ეს შემცირება:
- კაპიტალიზირდება;
 - აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი;
 - აღიარდება როგორც გაუთვალისწინებელი ხარჯი.
7. ცვლითა ხასიათდება, როგორც:
- გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ღირებულების გადანაწილების საშუალება წლების მანძილზე;
 - აქტივების საბაზრო ღირებულების შემცირება;
 - გრძელვადიანი აქტივების ღირებულების გადანაწილების საშუალება მათი დადგენილი სასარგებლო მომსახურების პერიოდზე.
8. საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიშზე გვაქვს საკრედიტო საწყისი ნაშთი 2000 ლარი. წლის ბანამავლობაში ჩამოიწერა უიმედო მოთხოვნა 2500 ლარი. წლის ბოლოს დადგინდა საეჭვო ვალები 2800 ლარი. საწარმომ საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი უნდა აღიაროს:
- 2800;
 - 2300;
 - 3300
9. საწარმომ შეიძინა საქონელი გასაყიდად 2 360 ლარად, მათ შორის დღგ 360 ლარი. საწარმოს ბუღალტერმა საქონელი აიღო შემოსავალში 2 360 ლარად, საქონლის შეძენის ღირებულება სწორადაა აღრიცხული თუ ეს საწარმო:
- დღგ-ს გადამხდელი საწარმოა;
 - დღგ-ის არ გადამხდელი საწარმოა;
 - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
10. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 10000 ლარს, წლის ბოლოს 17000 ლარს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საოკუპაციო ხარჯები:
- შემცირდება 7000 ლარით
 - გაიზარდება 7000 ლარით
 - უცვლელი დარჩება.

ამოცანა №1

2011 წლის 20 დეკემბერს საწარმოში წინასწარ მიიღო 30 000 დოლარი საქონლის შემდგომი მიწოდების პირობით. ამ თარიღისთვის დოლარის კურსი ლართან შეადგენს 1:1,6. 2011 წლის 31 დეკემბერს 1:1,9. 2012 წლის 15 იანვარს შეთანხმებისამებრ საზღვარგარეთელ მყიდველს მიეწოდა 32 000 ლარის თვითღირებულების საქონელი. მიწოდებული საქონლის გასაყიდი ღირებულება მიღებული ავანსის ტოლია. მიწოდების თარიღისთვის დოლარის კურსი ლართან შეადგენს 1:1,8

ჩაწერეთ ბუღალტრული გატარებები:

2011 წლის 20 დეკემბერს

2011 წლის 31 დეკემბერს

2012 წლის 15 იანვარს (საწარმო იყენებს მარაგის აღრიცხვის უწყვეტ მეთოდს).

ამოცანა №2

საწარმომ შეიძინა ოფისის აღჭურვილობა 16000 ლარად, ღირებულების 40 დღეში გადახდის პირობით. მისი სავარაუდო სალიკვიდაციო ღირებულება 2000 ლარია, სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძინა წელი, საწარმო თავის სააღრიცხვო პრაქტიკაში იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. შექმნიდან სამი წლის შემდეგ საწარმომ მოახდინა ოფისის აღჭურვილობის გაყიდვა 8500 ლარად ნაღდი ანგარიშსწორებით.

დავალება: მოახდინეთ ბუღალტრული გატარებები შესაბამისი თანხების მითითებით

1. ოფისის აღჭურვილობის შექმნის
2. პირველი წლის ცვეთის დარიცხვის
3. გაყიდვის

მაგალითი №3

შპს “ანი“-იმ, რომელიც დღგ-ის გადამხდელია, მანქანა დანადგარი გაყიდა. მანქანადანადგარის თავდაპირველი ღირებულება 32000 ლარია. გაყიდვის მომენტისათვის მასზე დარიცხული იყო ცვეთა 1100 ლარის ოდენობით. საწარმომ აქტივი გაყიდა 30000 ლარად, პლიუს დღგ 5400 ლარი. ფული მიღებულია საბანკო ანგარიშზე.

ასახეთ გაყიდვის ოპერაცია ბუღალტრულად.

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ღ რ ი ც ხ ვ ა

1. ხარჯი, რომელიც იცვლება გამომწვევად პროდუქციის პროპორციულად, არის
 - ნახევრადცვლადი ხარჯი.
 - ცვლადი ხარჯი.
 - მუდმივი ხარჯი.
2. რომელი თვალსაზრისითაა სწორი: პროდუქციის რაოდენობის შეცვლისას,
 - მუდმივი ხარჯები მთლიანობაში უცვლელია, ხოლო პროდუქციის ერთეულზე იცვლება.
 - ცვლადი ხარჯები მთლიანობაში მუდმივია, ხოლო პროდუქციის ერთეულზე იცვლება.
 - მუდმივი ხარჯები მთლიანობაში იცვლება, პროდუქციის ერთეულზე კი უცვლელია.
3. დაუმთავრებელი პროდუქციის ნაშთების ზრდა მზა პროდუქციის თვითღირებულებას:
 - ზრდის.
 - ამცირებს.
 - არ ცვლის.
4. საფინანსო ფირმაში X მასალაზე წლიური მოთხოვნაა 85562,5 ტ. ერთი ტონა მასალის შენახვის საშუალო წლიური ხარჯია 4 ლარი და ერთი შეკვეთის განთავსებას 20 ლარი სჭირდება.
რას უდრის შეკვეთის ოპტიმალური მოცულობა:
 - 830 ტ.
 - 925 ტ.
 - 720 ტ.
5. პროდუქციის წარმოებაზე გაწეული პირდაპირი მასალის ხარჯი აღირიცხება:
 - დ – დაუმთავრებელი წარმოება და კ – მასალები
 - დ – მასალები და კ – დაუმთავრებელი წარმოება
 - დ – დაუმთავრებელი წარმოება და კ – გასაცემი ხელფასი
6. შეკვეთის მოთხოვნა შეკვეთის ვადაზე აღრე შესრულება, რის გამოც ზენორმატიულ დროში ნამუშევარია 250 სთ. საათობრივი ხელფასი 12 ლარია და ზენორმატიული დრო ნაზღაურდება 1,5 ბანაკვეთით.
მოახდინეთ ზენორმატიული დროის ანაზღაურების კლასიფიცირება:
 - პირდაპირი ხარჯი 3000 ლ და არაპირდაპირი ხარჯი 1500 ლარი.
 - არაპირდაპირი ხარჯი 3000 ლარი.
 - პირდაპირი შრომითი ხარჯი 4500 ლარი.

7. კომპანიაში მუშათა დენადობის კოეფიციენტი 0,125. დასაქმებულთა საშუალო რიცხვი 7440 რამდენი თანამშრომელი წასულა კომპანიიდან:

- 750 თანამშრომელი
- 930 თანამშრომელი
- 600 თანამშრომელი

8. სამრეწველო საწარმოში, 21000¹ ლარის საწარმოო ზედნადები ხარჯები ნაწილდება ორი სახის პროდუქტს შორის მანქანა / საათების პროპორციულად. პირველი სახის პროდუქტზე დაინახავს 2000 მან/სთ და მეორე სახის პროდუქტზე 5000 მან/სთ.

რას უდრის პირველი სახის პროდუქტზე განაწილებული საწარმოო ზედნადები ხარჯები:

- 15 000 ლარი.
- 7 000 ლარი.
- 6 000 ლარი.

9. საწარმოო ზედნადები ხარჯების მიკუთვნების განაკვეთია 2 ლარი ერთ კაც/სთ-ზე. ფაქტიურად ნამუშევარია 8000 კაც/სთ და ფაქტიურმა საწარმოო ზედნადებმა ხარჯებმა 17100 ლარი შეაღბინა.

რომელი თვალსაზრისია სწორი:

- ზედნადები ხარჯების მიკუთვნების დანაკლისია 1100 ლარი.
- ზედნადები ხარჯების მიკუთვნების მეტობაა 1100 ლარი.
- მიკუთვნების სხვაობა უდის ნულს.

10. კომპანიაში, ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის პრინციპით, განსაზღვრა მოგება 23800 ლარის ოდენობით. მზა პროდუქციის საყრდენი ნაშთი 500 ერთეული, საბოლოო კი 400 ერთეული იყო. მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯების მიკუთვნების განაკვეთი 4 ლარია/ერთეულზე.

რამდენი ლარი იქნება მოგება, დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემაში:

- 24 200 ლარი.
- 23 400 ლარი.
- 23 800 ლარი.

ამოცანა 1

კომპანია ამზადებს მტვერსასრუტებს, რომლის წარმოებაზე მიმდინარე თვეში დაიხარჯა: პირდაპირი მასალა – 45600 ლარი, პირდაპირი შრომა – 29500 ლარი. საწარმოო ზედნადები ხარჯების მიკუთვნება ხდება პირდაპირი ხარჯების 70%-ის ოდენობით.

მიმდინარე თვეში დაიწყო 7000 ცალი მტვერსასრუტის წარმოება და დამთავრდა 6200 ერთეული. დაუმთავრებელი ერთეულები დამთავრებულია 65%-ით.

მოთხოვნა: გამოთვალეთ:

1. წარმოების მთლიანი დანახარჯები;
2. მზა პროდუქციის საერთო ეკვივალენტური ერთეულები;
3. ერთი ეკვივალენტური ერთეულის თვითღირებულება;
4. მზა პროდუქციის თვითღირებულება;
5. დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულება.

ამოცანა 2

კომპანია ამზადებს და ყიდის ერთი სახის პროდუქტს, რომლის ერთეულზე ზღვრული მოგება შეადგენს 20 ლარს. ხოლო ზღვრული მოგების ფარდობა შემოსავალთან (ც/ს) არის 0,40.

მიმდინარე თვეში დაგეგმილი იყო 4000 ერთეული პროდუქტის რეალიზაცია, რომლის შესაბამისი უსაფრთხოების დიაპაზონი ღირებულებით 30000 ლარია.

მოთხოვნა:

1. იპოვეთ ერთეულის გასაყიდი ფასი;
2. გამოთვალეთ უსაფრთხოების დიაპაზონი ერთეულებში;
3. გამოთვალეთ წაუგებლობის წერტილი;
4. გამოთვალეთ მთლიანი მუდმივი ხარჯები.

**სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი
რეგულირების საფუძვლები**

- 1) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია:
 - გაფიცვა;
 - სამხედრო სარეზერვო სამსახურში მსახურობა;
 - სამუშაოს ვადის გასვლა;
- 2) შრომითი ქმედუნარიანობა იწყება 16 წლის ასაკიდან, თუმცა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით პირი შეიძლება დასაქმდეს:
 - 7 წლის ასაკიდან;
 - 14 წლის ასაკიდან;
 - 12 წლის ასაკიდან;
- 3) გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება უნდა იყოს დადებული:
 - ზეპირი ფორმით;
 - წერილობითი ფორმით;
 - ზეპირი ან წერილობითი ფორმით;
- 4) სამუშაო დღეებს შორის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ნაკლები
 - 24 საათზე;
 - 12 საათზე;
 - 16 საათზე;
- 5) დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულს არ მიეცემა ერთ თვიანი ანაზღაურება, თუ:
 - დასაქმებული არაჯეროვნად ასრულებდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
 - დასაქმებული ჯეროვნად ასრულებდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
 - დამსაქმებელი არაჯეროვნად ასრულებდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
- 6) სამეწარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა:
 - კოოპერატივის საქმიანობა;
 - სააუდიტო საქმიანობა;
 - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობა;
- 7) შრომითი ურთიერთობა წარმოშობილად ითვლება:
 - სამუშაოს ფაქტობრივი დაწყების მომენტიდან;
 - სამუშაოს ფაქტობრივი დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა არ არის გათვალისწინებული;
 - სამუშაოს ფაქტობრივი შესრულების შემდეგ;
- 8) რომელი არ არის იურიდიული პირი:
 - ამხანაგობა;

- სააქციო საზოგადოება;
 - კოოპერატივი;
- 9) კომანდიტური საზოგადოება შედგება:
- კომანდიტებისაგან და შეზღუდული პარტნიორებისაგან;
 - კომპლემენტარებისაგან;
 - კომპლემენტარებისაგან და შეზღუდული პარტნიორებისაგან;
- 10) კომანდიტური საზოგადოების სახელწოდება უნდა შეიცავდეს:
- ერთ-ერთი კომპლემენტარის სახელსა და გვარს მაინც;
 - ერთ-ერთი შეზღუდული პარტნიორის სახელსა და გვარს მაინც;
 - ერთ-ერთი კომანდიტის სახელსა და გვარს მაინც;
- 11) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას ახდენს:
- საქართველოს შემოსავლების სამსახური;
 - საგადასახადო ინსპექცია;
 - საჯარო რეესტრი;
- 12) ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა ნიშნავს:
- ფიზიკური პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები;
 - ფიზიკური პირის უნარს, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები;
 - ფიზიკური პირის უნარს, ჰქონდეს და ახორციელებდეს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს;
- 13) ჩამოთვლილი ნორმატიული აქტებიდან, რომელს ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა:
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
 - საქართველოს ორგანულ კანონს;
 - საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს;
- 14) მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება. აღნიშნული უფლება არის შემდეგი სანივთო უფლება:
- აღნაგობა;
 - სერვიტუტი;
 - უზურფრუქტი;
- 15) ხელშეკრულების დადებისას, შეთავაზებაზე (ოფერტი) გაკეთებული დაგვიანებული თანხმობა (აქცეპტი) მიიჩნევა:
- ხელშეკრულების დადებათ;
 - ახალ ოფერტათ;
 - ხელშეკრულებაზე უარის თქმათ;

ს ა ბ ა დ ა ს ა ს ა დ ო დ ა ბ ე ბ ვ რ ა

1. რამდენი წლით შეუძლია ხარალის გადატანა იურიდიულ პირს:

- არაუმეტეს 5 ან 6 წლით ;
- არაუმეტეს 8 ან 10 წლით;
- არაუმეტეს 5 ან 10 წლით;

2. მოგების გადასახადის დეკლარაციას საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენენ:

- რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ იბეგრება საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან;
- რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც იბეგრება საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან;
- საქართველოს საწარმოები;

3. ზოგადად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად რა აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს ხარჯი, რათა შეიძლებოდეს მისი გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან?

- უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი ან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან.
- უნდა იყოს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი.
- უნდა იყოს საგადასახადო წლის განმავლობაში გაწეული (გადახდილი) და დადასტურებული დოკუმენტურად.

4. შექმნილია 2500 ლარის ღირებულების კომპიუტერული პროგრამის ლიცენზია. არამატერიალური აქტივების ხარჯი გამოიჭვითება:

- თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა მაშინ 20%-იანი ნორმის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სასარგებლო გამოყენების ვადის პროპორციულად;
- გამოიჭვითება სრულად;
- თუ შეუძლებელია აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, მაშინ 15%-იანი ნორმის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სასარგებლო გამოყენების ვადის პროპორციულად;

5. ბართოგაზე გაწეული ხარჯი (ბარდა იმ პირებისა ვინც ეწევა ბართობითი ხასიათის საქმიანობას) გამოიჭვითება მხოლოდ იმ პირობით:

- თუ იგი დადასტურებული დოკუმენტურად;
- თუ იგი დაკავშირებულია ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან.
- არ გამოიჭვითება;

6. 2012 წლის განმავლობაში რა ბანაკებით ხდება გადახდილი დივიდენდების დაბეგვრა გადასახადის წყაროსთან?

- საქართველოს საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 პროცენტის განაკვეთით.
- საქართველოს საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 10 პროცენტის განაკვეთით.
- გ) საქართველოს საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 7.5 პროცენტის განაკვეთით.

7. 2012 წელს რა ვადაში წარადგინეს ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას?

- არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა;
- არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 მაისისა;
- არაუგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა;

8. თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე (არ ღვას შენობა) მიწაზე ქონების გადასახადი გამოიანბარიშება მიწის:

- საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე კალენდარული წლის 1 აპრილი-სათვის;
- საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე წლის ბოლოსთვის;
- არცერთი პასუხი არ არის სწორი

9. დღგ- ის ჩათვლის დოკუმენტი არ არის:

- საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურა;
- დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- არცერთი პასუხი არ არის სწორი

10. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი:

- ითვლება დასაბეგრ ოპერაციად თუ მასზე გადამხდელს ჩათვლილი აქვს დღგ;
- ითვლება დასაბეგრ ოპერაციად უპირობოდ (ყველა ვარიანტში);
- არ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად;

ამოცანა №1

2003 წელს საწარმომ შეიძინა: 200000 ლარის შენობა ნაგებობები, 60000 ლარის დაუმონტაჟებული მოწყობილობა, 12000 ლარის არამატერიალური აქტივები. აღნიშნულის შემდგომ პერიოდებში საწარმოს შემენები არ განუხორციელებია.

2012 წლის წლის 1 იანვარს საწარმოს ბალანსზე ერიცხება: 175000 ლარის შენობა ნაგებობები (ნარჩენი ღირებულებით); დაუმონტაჟებული მოწყობილობის (დანადგარების) სახით დარჩა 15000 ლარის ქონება და 7000 ლარის არამატერიალური აქტივები, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრისათვის იგივე აქტივები - შესაბამისად: 170000 ლარის, 10000 ლარის და 6000 ლარის ოდენობით.

განსაზღვრეთ:

1. 2012 წლის დასაბეგრი ქონების ღირებულება;
2. 2012 წლის ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის განაკვეთი 1 %-ია.

ამოცანა №2

გადასახადის გადამხდელმა (შპს-მ), ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მიზნით 2004 წელს იყიდა 12 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელშიც გადაიხადა 20000 ლარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი მიმდინარე წლამდე გამოიყენებოდა (მოჰყავდა სხვადასხვა მარცვლეული კულტურები) ეკონომიკური საქმიანობისათვის. შპს-მ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2012 წელს გაყიდა 45 000 ლარად.

განსაზღვრეთ:

1. წინა წლების (2012 წლამდე) განმავლობაში ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხები.
2. 2012 წელს ამ ოპერაციიდან ერთობლივ შემოსავალში შესატანი თანხა.

ამოცანა №3

შპს „პრაიმი“ გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირდა 2012 წლის 20 თებერვალს. 2012 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ განხორციელებულმა დღგ-ის 18%-ნი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციების ჯამურმა თანხამ შეადგინა 72 ათასი ლარი.

10 დეკემბერს განახორციელა ბავშვთა ჰიგიენური ნაწარმის (ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაცია) მიწოდება 24 ათასი ლარის.

13 დეკემბერს დაფუძნებული საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეიტანა (გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით) 10 ათასი ლარის ღირებულების საქონელი. 14 დეკემბერს განახორციელა 32 ათასი ლარის 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი საქონლის მიწოდება.

16 დეკემბერს განახორციელა სხვა პირის საკუთრებაში არსებული საქონლის გადაზიდვის მომსახურება სტამბულიდან თბილისამდე (მომსახურების თანხაა 25 ათასი ლარი).

განსაზღვრეთ:

1. როდიდან ითვლება პირი დღგ-ის გადამხდელად, რატომ?
2. დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა დეკემბრის თვეში და დღგ ბრუნვაზე.

ამოცანა №4

2011 წლის ბოლოს საწარმოს პირველი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი შეადგენს 300000 ლარს, ამ ჯგუფის ძირითად საშუალებებზე გაანგარიშებული საამორტიზაციო ანარიცხები 60000 ლარს. 2012 წელს შექმნილია სამი დანადგარი რომლის ჯამური ღირებულება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად შეადგენს 120000 ლარს. ამავე წელს ამ ჯგუფში რიცხული ორი მოწყობილობა გაიყიდა 200000 ლარად (თითოეული 100000 ლარად).

განსაზღვრეთ

1. ამორტიზაციის თანხა და ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი 2012 წლის ბოლოს.
2. აღნიშნული მოწოდების ოპერაციიდან რა ოდენობის თანხები ჩაირთვება შპს-ს ერთობლივ შემოსავლებში 2012 წელს.

ამოცანა №5

2011 წლის ბოლოს საწარმოს მესამე ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი შეადგენს 500000 ლარს, უნდა აღინიშნოს რომ ამ დროისათვის ჯგუფში შედიოდა 1 ცალი ტურბინული მოწყობილობა. 2012 წელს შექმნილია 2 დიზელგენერატორი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 40000 ლარს.

2012 წელს ამ ჯგუფში რიცხული 3 (სამივე) ძირითადი საშუალება გაიყიდა 300000 ლარად.

განსაზღვრეთ

1. მესამე ჯგუფის ამორტიზაციის თანხა და ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი 2012 წლის ბოლოს.
2. აღნიშნული მოწოდების ოპერაციიდან რა ოდენობის თანხები ჩაირთვება შპს-ს ერთობლივ შემოსავლებში 2012 წელს.

ა უ დ ი ტ ი ს ს ა ფ უ კ ვ ლ ე ბ ი

- 1. საქართველოში აუდიტორთა ატმსტაციას (კვალიფიკაციის დონის განსაზღვრას) ახდენს:**
 - პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია;
 - მხოლოდ პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო;
 - პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია;
- 2. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების შემდეგ აუდიტორი (აუდიტური კომპანია):**
 - გამოხატავს მოსაზრებას აუდიტირებული ანგარიშგების შესახებ
 - გამოავლენს და ასწორებს საგადასახადო კუთხით დაშვებულ შეცდომებს
 - ახდენს ანგარიშგებაში აღმოჩენილი დარღვევების გასწორებას
- 3. საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი ნორმები განსაზღვრულია:**
 - კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
 - კანონით „მეწარმეთა შესახებ“
 - კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“

პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი ე თ ი კ ი ს კ ო დ ე ქ ს ი

- 4. ბუღალტრის პროფესიის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას იმოქმედოს:**
 - მხოლოდ კლიენტის ან დამქირავებლის მოთხოვნების შესაბამისად;
 - საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და არ შემოიფარგლოს მარტო დამკვეთის ან დამქირავებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებით;
 - კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად
- 5. ბავის პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსი ეფუძნება:**
 - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის კოდექსს;
 - დსთ-ს ქვეყნების ფედერაციის ეთიკის კოდექსს;
 - პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ეთიკის კოდექსს.
- 6. პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნება მოითხოვს:**
 - ცოდნის სრულყოფას მუდმივად, სათანადო პროფესიულ-ტექნიკურ და ბიზნესის სფეროში არსებული სიახლეების ბაზაზე;
 - ცოდნის სრულყოფას პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად;
 - ცოდნის სრულყოფას მარეგულირებელი წესების შეცვლის შესაბამისად.